

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თელავი

2018 წლის 16 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი,
ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი,
გურამი წულუკიძე, ალექსი ძულიაშვილი,
ლელა მენტეშაშვილი, ლევანი
ლილუაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი,
ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის
მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, სივრცით
ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურის
და ბუნებრივი რესურსების მოწვეული სპეციალისტი
დავით ნუსხელიძე, თელავის მუნიციპალიტეტის
მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი ლალი მერაბიშვილი

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ,“ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი

2. „თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“, პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების პროექტის შესახებ“.

აზრი გამოთქვას:

- ლელა მენთეშაშვილმა აღნიშნა რომ, აქამდე ქონების გადასახადს იხდიდნენ 40 000 ლარამდე შემოსავლის მქონე მოქალაქეები, ამჯერად რატომ არის ზღვარი 100 000 ლარი.

- ზურაბ ენუქიძემ განუმარტა რომ, პროექტით დგინდება ადგილობრივი გადასახადის განაკვეთები, ხოლო 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე კატეგორიის მოსახლეობის გადასახადიდან გათავისუფლების საკითხს ითვალისწინებს საგადასახადო კოდექსი.

- ვასილ არაბულმა აღნიშნა რომ, წარმოდგენილი პროექტი სრულად ასახავს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებს ადგილობრივი გადასახადების განაკვეთების კუთხით.

ვ.არაბულის მოსაზრებას დაეთანხმდნენ კომისიის სხვა წევრებიც.

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ“ წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა კომისიის 7 წევრმა, წინააღმდეგი: ლ.მენთეშაშვილი, ა.ბულიაშვილი.

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის პროექტის შესახებ“.

აზრი გამოთქვას:

- გიორგი ჩაბრაშვილმა აღნიშნა რომ, წარმოდგენილ პროექტში ზონირებისთვის გამოყენებულია სათანადო ლოკალურ ტერიტორიული

ინდექსები, ზონირების რუკაზე ნათლად სჩანს საზღვრები, ამდენად მისაღებია ამ სახით წარმოდგენილი პროექტი.

- ზენუქიძემ აღნიშნა რომ, წარმოდგენილი პროექტი პასუხობს შესაბამის ნორმატიული აქტის მოთხოვნებს და შემოიტანა წინადადება პროექტის საკრებულოზე წარსადგენად.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები: ბ.ქოჩიშვილი, გ.ჩაბრაშვილი, უ.ჭოტიაშვილი.

გადაწყვეტეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მომისიის ყველა წევრმა.

კომისიის თავმჯდომარე



ალექსანდრე შათირიშვილი